ხელშეკრულება#მ67-12.20

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. თბილისი 24 დეკემბერი 2020 წ.

ერთის მხრივ, ა(ა)იპ „თბილისის მუნიციპალური თავშესაფარი“ (შემდგომში -შემსყიდველი), მისი დირექტორის გოჩა მინდიაშვილის სახით და მეორეს მხრივ, სს „ჰიუნდაი ავტო საქართველო“ მისი დირექტორის ალექსანდრე ხვედელიძის სახით (შემდგომში - მიმწოდებელი), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ს1 ქვეპუნქტის შესაბამისად, ვთანხმდებით და ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი თანახმაა გაუწიოს შემსყიდველს მომსახურება (CPV50100000), კერძოდ, შემსყიდველის საკუთრებაში არსებულ ავტომობილებზე (Hyundai i-20 და Ford Fiesta) ოთხივე საბურავის მოხსნა/დაყენება და ბალანსირება, ხოლო შემსყიდველი თანახმაა გადაიხადოს მომსახურების ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

2. ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 120.00 (ასოცი) ლარს დამატებული ღირებულების გადასახადის ჩათვლით;
2.2. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულების შესაბამისად, მომსახურების გაწევიდან 10 (ათი) კალენდარულ დღეში;
2.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

3. მომსახურების გაწევის ვადები და მიღება-ჩაბარების წესი

3.1. მომსახურება განხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) სამუშაო დღეში.
3.2. მომსახურების გაწევის ადგილია ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ.
3.3. ამ ხელშეკრულების ძალით მიწოდებული საქონლის შემოწმებასა და მიღება-ჩაბარებას შემსყიდველის მხრიდან ახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის დირექტორი გოჩა მინდიაშვილი.

4. მომსახურების ხარისხი და ინსპექტირების პირობები

4.1. შესასყიდი მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს არსებულ სტანდარტებს.

4.2. მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღეში განახორციელოს წუნდებული მომსახურების გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება: ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი; ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.
5.2. ამ მუხლის 5.1. პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.
5.3. მიმწოდებელს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ შემსყიდველი დროულად არ განახორციელებს ანგარიშსწორებას მიმწოდებელთან.

6. ხელშეკრულება შიცვლილებების შეტანა

6.1. ამ ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაშია, თუ ისინი შესრულებულია წერილობითი ფორმით, რომელიც ამ ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი იქნება.
6.2. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ემუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა

ხელშეკრულების მონაწილე მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

8. ფორს-მაჟორი

8.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ვალდებულებათა შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორსმაჟორული გარემოებების გამო. თუმცა, ფორს-მაჟორული გარემოებების გამო ხელშეკრულების მხარეებმა უნდა გაატარონ ყველა კეთილგონივრული ღონისძიება, რათა მინიმალურ დროში იქნეს დაძლეული უუნარობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მინიმალური დაგვიანებით შესრულების თვალსაზრისით. ამასთან, ის

ვადა, რომლის განმავლობაშიც ხელშეკრულების მხარემ უნდა შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული ვალდებულება გადაიწევს იმ პერიოდის ექვივალენტური დროით, რომლის განმავლობაშიც ასეთ მხარეს არ შესწევდა აღნიშნული ვალდებულებების განხორციელების უნარი ფორს-მაჟორული გარემოებების გამო, თუ ეს საერთოდ იქნება შესაძლებელი;

9. სადაო საკითხების გადაწყვეტა

9.1. ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წამოჭრილი ყველა დავა და უთანხმოება გადაიჭრება მხარეთა შორის მოლაპარაკებების გზით. წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
9.2. საკითხები, რომლებიც არ არის დარეგულირებული ამ ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2021 წლის 31 იანვრამდე.

11. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი: ა(ა)იპ „თბილისის მუნიციპალური თავშესაფარი“. საიდენტიფიკაციო კოდი: 406153111, მისამართი: ქ. თბილისი, სოფელი დიდი ლილო, ალიოშა ჯაფარიძის ქ. 15. ბანკი: ქ. თბილისი ,,სახელმწიფო ხაზინა”, ბანკის კოდი: TRESGE22, ა/ნ GE24NB0330100200165022

დირექტორი

გოჩა მინდიაშვილი

TBILISI MUNICIPAL ASYLUM

Digitally signed by TBILISI MUNICIPAL ASYLUM
Date: 2020.12.24 15:52:05 +04'00'

მიმწოდებელი: სს „ჰიუნდაი ავტო საქართველო“, ს/კ 204478948, მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. საბანკო რეკვიზიტები: სს „თი ბი სი ბანკი“, ბანკის კოდი: TBCB22GE ა/ნ GE15TB1100000110467697

დირექტორი

ალექსანდრე ხვედელიძე

HYUNDAI AVTO GEORGIA JSC

Digitally signed by HYUNDAI AVTO GEORGIA JSC
Date: 2020.12.24 16:02:09 +04'00'